

Slavočinskis 1646, 1958: Slavočinskis, S. M. *Giesmės tikėjimui katolickam priderančios* [Songs Appropriate for the Catholic Faith], 1646. Photographed publication, Vilnius: Valstybinė politinės ir grožinės literatūros leidykla, 1646, 1958, p. 7–52.

Vaicekauskas 2005: Vaicekauskas, M. *Lietuviškos katalikiškos XVI–XVIII amžiaus giesmės* [Lithuanian Catholic Hymns of the 16th – 18th centuries]. Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2005.

Ulčinaité 2003: Ulčinaité, E. “Lotyniškieji ir lenkiškieji kūriniai” [Latin and Polish Works]. In Albinas Jovaišas, Eugenija Ulčinaité (editors) *Lietuvių literatūros istorija, XIII–XVIII amžiai*. Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas, 2003, p. 247–353.

Ulčinaité 1997: Ulčinaité, E. *Lietuvos Baroko literatūra* [Lithuanian Baroque literature]. Vilnius: Baltos lankos, 1997, p. 2–15. Accessed at 3 August 2021; available from: http://www.xn--altiniai-4wb.info/files/literatura/LE00/Eugenija_UL%C4%8Dinait%C4%97_Lietuvos_baroko_literat%C5%ABra.LE0000B.pdf.

Maka Elbakidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Red Death – A Metaphor or a Prophecy

Summary

“The Masque of the Red Death” can be called a theatrical story. The narrative is replaced by “showing”, which is indicated by the use of the word “mask” in the title of the story, the selection of seven different colored halls and costume masquerade as decoration for the central episode of the text. The disease with the name Red Death with its symptoms and devastating power is very similar to cholera or the plague. There are attempts to read the theatrical metaphors of this story as grotesque elements, or a projection of the sick body, or as a metaphor for social and political convulsions. However, there are other aspects of this story – the biographical and the real historical basis of its writing.

Key words: Edgar Allan Poe, Red Death, Cholera epidemic, theatrical metaphors.

მაკა ელბაქიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

წითელი სიკვდილი – მეტაფორა თუ წინასწარმეტყველება

ედგარ ალან პოს წითელი სიკვდილის ნიღაბი პირველად 1842 წელს გამოქვეყნდა „გრეჰემ მეგეზინში“, სახელწოდებით „The Mask of the Red Death“ (*Mask* – ნიღაბი), 1845 წელს კი გამოვიდა ნოველის გადამუშავებული ვერსია ოდნავ შეცვლილი სათაურით „The Masque of the Red Death“, რომელშიც სიტყვა *Masque* აღნიშნავს მასკარადს, ან თეატრალურ წარმოდგენას. მართლაც, სალიტერატურო კრიტიკის მიერ ეს ნოველა იმთავითვე „თეატრალურ“ მოთხრობად იყო სახელდებული, ვინაიდან ნარატივი (telling) ჩანაცვლებულია „ჩვენებით“ (showing), რაზეც მეთყველეს ტექსტის ცენტრალური ეპიზოდისთვის დეკორაციად შვიდი სხვადასხვა ფერის (ცისფერი, მეწამული, ბალახისფერი, წარინჯისფერი, თეთრი, იისფერი, შავი) დარბაზისა და კოსტუმირებული მასკარადის შერჩევა, პირდაპირი ალუზიები შექსპირის „ქარიშხალსა“ და ჰიუგოს „ერნანთან“^{***} და ნარატივის ფოკუსირება არა მთავარ პერ-

* არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ უფლისწული პროსპეროს სახელი აღებულია შექსპირის ერთ-ერთი ბოლო პიესა „ქარიშხლიდან“, რომელშიც მოქმედება კუნძულზე ვითარდება. აქ ბატონობს ჯადოქარი პროსპერო, მილანის კანონიერი ჰერცოგი. მისი ძალაუფლება ვრცელდება კუნძულის ყველა მკვიდრზე, მათ შორის კალიბანზე, ველურ ადამიანზე, რომელიც ერთ-ერთ სცენაში პროსპეროს დაწყევლის: დაე, წითელმა ჭირმა (Red Plague) მოგკლასო.

** „უცილობელი იყო მათი (ნიღბების მ.ე.) ხასიათი. ბრწყინვალე, მრავალფეროვანი, პიკანტური, ილუზიური და ბევრი იმგვარი რაღაც შექმნეს, შემდეგ „ერნანში“ რომ გვინახავს“ (პო 1982: 98). თავდაპირველად ჰიუგოს პიესას „ზანტე“ ერქვა მთავარი პერსონაჟის, დონა ზანტეს მიხედვით. მისი დადგმა საკმაოდ ძვირი დაჯდა, რადგან უამრავი თანხა დაიხარჯა სცენურ ეფექტებზე. პიესაში გამოყენებული იყო სასულე ორკესტრი, ასევე უამრავი ცვილის სანთელი განათების ეფექტის (ე.წ. წითელი ალის) შესაქმნელად (შდრ. „წითელი სიკვდილის ნიღაბი“: „სარკმლები მეწმული, ერთიანად სისხლისფერი შუშებით გაეწყობო... არ ჩანდა სანათი ან კანდელი... ყველა

სონაჟზე, რომელიც „სცენაზე“ ნოველის ფინალში გამოჩნდება, არამედ მოქმედების ადგილზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თხრობა ხდება მესამე პირში ამბის უშუალო თვითმხილველის მიერ, თუმცა თავად ნარატორი არ მოიაზრება უფლისწულ პროსპეროს სტუმართა შორის – ირგვლივ გამეფებული „სიბნელისა და ხრწნილების“ ფონზე ისაა ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი, რათა ბოლომდე შეასრულოს თავისი მისია და მოთხრობაში საბოლოო წერტილი დასვას.

ნოველის პირველივე სტრიქონებიდან „წითელი სიკვდილი“ წარმოდგენილია როგორც აბსოლუტური, მეტაფიზიკური ბოროტება: მას გაურბიან და ემალებიან მყარად ნაშენი და მაღალი გალავნის მიღმა; მისი მთავარი „სამხილი“ – სახესა და სხეულზე მოდებული წითელი ლაქები – „კარს უხშობს“ მეგობრის თანამობასა და შემწეობას. სიმპტომებითა და გამანადგურებელი ძალით „წითელი სიკვდილი“ ძალზე წააგავს ქოლერას ან შავ ჭირს: „მწვავე ტკივილი, მეყსეული გაბრუება, ხვავრიელი სისხლდენა ყოველი ფორით და აღსასრული“. მას აქვს პანდემიის ყველა ნიშანი: „დიდხანს ბოგინობს“ და მანამდე არსებულ ყველა ჟამიანობას აღემატება შემმუსრავე და შემზარავი ძალით (პროსპეროს სამფლობელო „ნახევრად გატიალდა“). მისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება იზოლაციაა – „კარის მანდილოსანთა და რაინდთაგან ათასი ჯან-ლონით სავსე გულმხიარული ამხანაგი

სარკმლის პირდაპირ დაედგათ სხივმფინარე ცეცხლოვანი მაყალი, რომლის ბრკიალა შუქს გაენათებინა ოთახები. მრავლის უმრავლესი ხვავრიელფეროვანი ფანტასმაგორიული სახეა ასე წარმოიქმნებოდა“ (პო 1982: 96-97)). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კოსტიუმებს – დომინოსა და ნიღბებს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბაგირზე მოცეკვავემ, მაღამ რომანიში, რომლის გრაციოზულობა ცამდე აჰყავდა კრიტიკას (შდრ. პო: „გასართობი არ შემოაკლდებოდათ უფლისწულის წყალობით – მუშაითები, მიმოსები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, ლამაზები, ღვინო: ყველაფერი ეს იყო აქ და საშიშროება, „წითელი სიკვდილი“ გარეთ“). ცნობები პიესის დადგმის შესახებ ამოღებულია წიგნიდან: Pollin Burton. Discoveries in Poe. Notre Dame University Press, 1970, pp. 1-11).

* ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ: პო, ე. ა. წითელი სიკვდილის ნიღაბი. 17 მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ზაურ კილაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 95-100.

მოიხმო და გამოიკეტა ერთ შორეულ მონასტერში... შემოვიდნენ და თან შემოიტანეს ქურები და მძიმე უროები. ასე თქვეს: ყველგან დავახშოთ შემოსასვლელი და გასასვლელი, ანაზდეულად სიშლეგე და სასოწარკვეთილება რომ არ შემოიჭრასო. კარებზევე დაადულეს საკეტები“). მარტინ როთის აზრით, სივრცე, რომელსაც პროსპერო და მისი სტუმრები აფარებენ თავს, არის „ახალი“ ადგილი, ანუ „შიდა“ სივრცე, წითელი სიკვდილი კი „გარე სივრციდან“ – ღამის სიბნელიდან – ქურდულად შემოპარული მომხდური. მუქარა, რომელიც აქამდე მხოლოდ „გარეთ“ იყო და რომელიც თითქოს მაღალი გალავნის მიღმა დარჩა, ახლა უკვე „შიგნითაცაა“. ეს მომხდური, საზღვრის გარედან შემოღწეული ფიგურა, რომელიც ნოველის ფინალში კარნავალის მონაწილეთა წინაშე წითელი სიკვდილის ნიღბით გამოჩნდება, აღიქმება როგორც ე.წ. ქარაქტეროლოგიური დუბლიკატი სივრცის ყველაზე უცნაური და იდუმალი ლოკალისა – შავი პალატის და მისი დეკორის მთავარი ელემენტის – შავი ებონიტის საათისა. ეს პალატი, როგორც მოქმედების საწყისი და საბოლოო წერტილი, სასახლის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ყველა უფრთხის იქ შესვლას, რადგან მისი დეკორი სიმბოლურად ახდენს „გარე სივრცისთვის“ ნიშანდობლივი ასპექტების რეპროდუცირებას. ესენია: შავი კედლები, ხალიჩები, ფარდაგები და სისხლისფერი მინები*. მომხდური „საზეიმო და მოზომილი ნაბიჯებით“ გაივლის შვიდივე ოთახს და როცა ბოლო პალატში მას ნემტისსახა ნიღაბს ახდიან,

* შავი ფერი, ზოგადად, წყვიადის, უბედურების, სიკვდილის, ეშმაკული ძალების, გლოვის სიმბოლოა. ჰ. ბელის აზრით, შავის სიმბოლიკა ამ ნოველაში გამოყენებულია უფლისწული პროსპეროს გონებრივი დეგრადაციის, მისი შინაგანი სამყაროს კრიმინალური, დანაშაულებრივი არსის წარმოსაჩენად, წითელი ფერი კი, რომელიც ტრადიციულად სიცოცხლის სიმბოლოა, აქ ავადმყოფობას განასახიერებს. Geoffrey Galt Harpham-ი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ბიბლიაში წითელი ფერი ასოცირდება ვირუსულ დაავადებასთან, ქოლერასთან და არა შავ ჭირთან, რომელსაც ადრე შავ სიკვდილს უწოდებდნენ. ინგლისში სემიუელ პიპსის (1633-1703) ეპოქიდან მოყოლებული ქოლერით გარდაცვლილთა გვამების გადამტანთ ხელში წითელი კვერთხი ეჭირათ, ინფიცირებულთა სახლების კარებს კი წითელ ჯვარს ახატავდნენ. განსახილველ ნოველაში ედგარ პო წითელ ფერს აწყვილებს შავთან (შავი კედლები/სისხლისფერი მინები), რაც ხაზს უსვამს უფლისწული პროსპეროს ეგოიზმს, სიმულვილს, ტირანიას და დეგრადირებული ადამიანის ყველა მორალურ ხინჯს (ციმერმანი 2009:68).

მოზეიმეებს „ენით აღუწერელი თავზარი დაეცემათ“ – ნიღბის ქვეშ „ვერ იხილავენ ვინმე ხორციელს“. ერთი მეორის მიყოლებით ეცემიან მოსიერენი...სისხლის ღვარი დადგება სამხიარულო პალატებში.

როგორც ჩანს, ამ ნოველაში ერთადერთი ონტოლოგიური და ფსიქოლოგიური საშიშროება უკავშირდება სისხლს და სისხლის მიმართ შიშს. შიშს იმის აღიარებისა, რომ „გარე“ სივრცემ მაინც შემოაღწია „შიგნით“. ისიც აღსანიშნავია, რომ სისხლი და მისი სინონიმური სიტყვები განუწყვეტლივ მეორდება ნოველაში და მათზე აქცენტირება გამუდმებით ხდება („სისხლი იყო მისი ნიშანი“, „სისხლი იყო ჟამის სამხილი“, „სარკმელი სისხლისფერი შუშებით გაეწყოთ“, „სისხლს მოერწყა მისი სამოსელი“ და ა.შ), თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ნოველა „თეატრალურია“, სისხლი ვერ იქნება რეალური, ის ბუტაფორიულია, შესაბამისად, ირონიადაც კი უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ამდენი დაღვრილი სისხლის ფონზე თავად უფლისწული პროსპერო უსისხლოდ კვდება („შესაზარელი ყვირილით შავფერ ხალიჩაზე დაუვარდა მოელვარე მახვილი და იქვე უსულოდ დაეცა“) და ამით თავს აღწევს წითელი სიკვდილის ყველა სიმპტომს, რომლებიც პირდაპირი თუ მეტაფორული მნიშვნელობით არაერთხელ „გაიელვებს“ ნოველის მკითხველის თვალწინ (როთი 1984: 50-52).

ისტორიული ფონი – 1832 წლის ქოლერის ეპიდემია

ამ პირობითობისა და აბსტრაქტულობის მიღმა, ცხადია, იმალება ქვეტექსტი – რაღაც ძლიერი განცდა, სტრესული მდგომარეობა, რომელიც შეიძლება განპირობებული ყოფილიყო ან, ზოგადად, ეპიდემიის მიმართ შიშით, ან პირადი ტრაგედიით. მართლაც, თუ მწერლის ბიოგრაფებს დავეყრდნობით, ამ ნოველის დაწერას აქვს როგორც რეალური ისტორიული, ისე ბიოგრაფიული საფუძველი. 1832 წელს მსოფლიოში ქოლერის ეპიდემიამ იფეთქა*.

* ეს იყო ქოლერის მეორე პანდემია (1829-1837), რომელსაც აზიურ ქოლერას უწოდებენ, რადგან ინდოეთიდან ის გავრცელდა ჯერ აზიის დასავლეთ ნაწილში, შემდეგ რუსეთში, ევროპაში, აშშ-ში, სამხრეთით კი – იაპონიასა და ჩინეთში. მისი გავრცელების გეოგრაფია ასეთი იყო: ორენბურგში ის შემოიტანეს ბუხარიდან მომავალმა ვაჭრებმა, 1831 წელს, რუსეთ-პოლო-

განსაკუთრებით მძიმე იყო მისი შედეგები საფრანგეთში, სადაც ამ ვერაგმა დაავადებამ 100 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ პარიზში სულ რაღაც 6 თვის განმავლობაში ქოლერით 20 000 ადამიანი გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის დედაქალაქში 29 მარტს დიდი მეჯლისი გაიმართა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „ლახინი ჟამიანობის დროს“. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე Augsburg Newspaper-ის 1832 წლის 19 აპრილის ნომრისათვის დაწერილ სტატიაში „მიცვალებულთა ბუნტი“:

„29 მარტს პარიზში მზიანი დღე გათენდა. ქალაქის ბულვარები დილიდან აახმაურეს მოზეიმე პარიზელებმა, რომელთა შორის ბევრ ნიღბოსანს დაინახავდით. ჟოლოსფერი სამოსით და თეთრი ნიღბებით ისინი მასხრად იგდებდნენ ქოლერას და მის მიმართ ადამიანების გადაჭარბებულ შიშს. მოზეიმეთა ხმამაღალი სიცილი ახშობდა გამაყრუებელი მუსიკის ხმას. უცებ არლუკინის სამოსში გამოწყობილმა ნიღბოსანმა იგრძნო, რომ კიდურები გაეყინა, სუნთქვა შეეკრა. მან სწრაფად მოიხნა ნიღაბი და გაოცებულმა მოზეიმეებმა მისი გალურჯებული სახე დაინახეს. ყველა მიხვდა, რომ ეს ხუმრობა აღარ იყო. მიჩუმდა სიცილის ხმა და რამდენიმე ნიღბოსანი ეტლებით გააქანეს Hotel Dieu-ში, სადაც ლაზარეთი მოეწყობოთ. მათ ისე განუტყვეს სული, რომ სახიდან ნიღბების მოხსნაც ვერ მოასწრეს. გაოგნებული თვითმხილველები მიხვდნენ,

ნეთის ომის დროს კი, რუსმა ჯარისკაცებმა გაავრცელეს პოლონეთში, სადაც ეპიდემიით 250 000 ადამიანი დაავადდა და 100 000 გარდაიცვალა. ამავე წელს ქოლერა გაჩნდა უნგრეთში (დაახლ. 100 000 გარდაცვლილი), გერმანიაში, საფრანგეთში, შემდეგ კი გავრცელდა დიდ ბრიტანეთში (55 000 გარდაცვლილი), სადაც ამ ვერაგ დაავადებას „მეფე ქოლერა“ (King Cholera) უწოდეს.

* ჰაინრიხ ჰაინე პარიზში 1831 წელს გადავიდა საფრანგეთის ახალი მეფის, ლუი ფილიპეს ლიბერალური რეჟიმით მოხიბლული. საფრანგეთის დედაქალაქში მას ლიტერატურული მოღვაწეობისთვის საუკეთესო პირობები ჰქონდა შექმნილი და ისეთი აღიარება ხვდა წილად, რომლის მსგავსიც საშობლოში არ რგებია. 1833 წელს გამოქვეყნდა მისი კრებული „ფრანგული ამბები. წერილები პარიზიდან“, რომელშიც თავმოყრილი იყო გაზეთ Augsburg Newspaper-ის საგანგებო სვეტისთვის დაწერილი სტატიები. კრებული დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მას ედგარ პოე უთუოდ იცნობდა.

რომ ქოლერა სასტიკი და თანაც გადამდები დაავადება იყო. მიცვალებულები ისე სწრაფად მიაბარეს მიწას, რომ მათთვის საკარნავალო კოსტიუმები არც კი გაუხდიათ“ (ჰაინე 1832 <https://www.laphamsquarterly.org/roundtable/riot-dead>).

ამ ფრაგმენტის საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს ფილიპ სარაზინი. ეყრდნობა რა ჟან ლაკანის კონცეპტუალურ კატეგორიებს^{*}, იგი აღნიშნავს, რომ ჰაინრიჰ ჰაინეს მონათხრობში ჩანს „მტკივნეული გადასვლა სიმბოლურიდან რეალურისკენ და პირუკუ“. პოეტი, თავისი „რეპორტაჟის“ ფიგურანტთა მსგავსად, არ იხსნის სიტყვიერი ხელოვნების ნიღაბს და „კითხულობს“ დაავადებას, როგორც „სოციალური და პოლიტიკური კონფლსიების მეტაფორას“. სარაზინის აზრით, პოსთან ჩვენ ვხედავთ ერთგვარ უფსკრულს „სიმბოლურსა“ და „რეალურს“, ნიღაბსა და სხეულს შორის და სწორედ ეს უფსკრული განსაზღვრავს ხასიათს მთელი მოთხრობისა, რომლის ცენტრშიც დგას ირონიული, დისკურსიული „ნიღაბი“, მის უკან კი – ენითაღუწერელი შიშის შეგრძნება. ამ უფსკრულს სარაზინი უწოდებს „ადგილს, სადაც წყდება რეპრეზენტაციის ჯაჭვი“. პოს ნოველაში რეპრეზენტაციის ჯაჭვის გაწყვეტის ადგილია სიცარიელე ნიღაბქვეშ, ანუ ადგილი, სადაც არ არის სხეული. თუ ჰაინესთან ქოლერის ნიღბის ქვეშ მნახველები ხედავენ არლევინის გალურჯებულ სახეს, პოს ნოველაში სუდარისა და ნეშტისსახა ნიღბის ქვეშ სიცარიელეა, შესაბამისად, პოს ნოველის ფინალი – ესაა ბზარი, უფსკრული, სიკვდილის აბსოლუტური ნიშანი, რომელსაც არა აქვს საკუთარი სხეული და რომელიც სხვასაც ართმევს სხეულს. სარაზინი მიიჩნევს, რომ რადგანაც ნოველას არა ჰყავს მთხრობელი, რომელიც საკუთარი შეგრძნებების შესახებ მოუთხრობდა მკითხველს, ბუნებრივია, რომ არ იქნება არც სხეული. „სიმბოლური“ აქ იკავებს

* ჟან მარი ემილ ლაკანი (1901-1981) – ფრანგი ფილოსოფოსი, ფსიქოანალიტიკოსი, ფსიქიატრი. ფრანგული სტრუქტურალიზმისა და პოსტ-სტრუქტურალიზმის წარმომადგენელი. მისი ფილოსოფიური მოდელის საფუძველს წარმოადგენს სამი კომპონენტისაგან შემდგარი სქემა: „წარმოსახვითი“ – „სიმბოლური“ – „რეალური“, მსგავსად „ბორომეოს რგოლების“ მათემატიკური მოდელისა, როდესაც ერთი რგოლის გახსნა იწვევს მთელი კონსტრუქციის რღვევას, თანაც ისე, რომ არცერთი რგოლი მეორესთან იმბმული არ არის.

„რეალურის“ ადგილს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეალური ავადმყოფობისას. ადამიანის ცნობიერება, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა წითელი სიკვდილის სიმპტომები, მკითხველის წინაშე წარმოდგენილია სემიოტიზაციის რთული მექანიზმის მეშვეობით. მომაკვდავი ემორჩილება საკუთარი ორგანიზმის რიტმს. ჩამინებულს, სიზმრებში წასულს, მას ავიწყდება არა მართო სიკვდილი, არამედ საკუთარი სხეულის შეგრძნებაც. გაღვიძებისთანავე ის შეიგრძნობს თავისი სხეულის სიმძიმეს... ედგარ პოს ნოველის მეშვიდე, შავი ოთახი სწორედ მოხეიძეთა „გამოღვიძების“ ფუნქციას ასრულებს: აქ სიკვდილის აკვიატებული შეხსენება ისეთივე მძიმე და აუტანელია, როგორც ავადმყოფისათვის – მისი მდგომარეობისა. ის გამოდევნის სხვა სახეებსა და ფერებს – ცისფერს, მეწამულს, ბალახისფერს, იისფერს, თეთრს, ნარინჯისფერს, სიკვდილის მძაფრ შეგრძნებას კი ცვლის შენელებული და უფრო ღრმა განცდა – ადამიანის მცდელობა, ხელში დაიჭიროს სიცარიელე, როცა სხეული ხელიდან უსხლტება (სარაზინი 2005: 24-25).

1832 წელს იმიგრანტების ნაკადთან ერთად ეპიდემიამ შეაღწია ამერიკის კონტინენტზე და იფეთქა ჯერ კანადაში, შემდეგ კი გავრცელდა აშშ-ის ქალაქებში. მედიცინის ისტორიკოსის, ჩარლზ როზენბერგის ცნობით, მხოლოდ ერთ დღეში, 20 ივლისს, ნიუ-იორკში გარდაცვალების 100 შემთხვევა აღირიცხა. ამერიკელები, რომელთათვისაც აქამდე უცხო იყო ამგვარი ეპიდემია, პანიკამ მოიცვა. სასაფლაოებისკენ უწყვეტ ნაკადად დაიძრა კუბოებით დატვირთული ურიკების ქარავნები; დაუმარხავი მიცვალებულები პირდაპირ ქუჩებში ეყარნენ; ებრაული წარმოშობის მეკუბოვეები იძულებულნი გახდნენ, წმიდა შაბათის წესიც კი დაერღვიათ, რათა მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. ჰაერში დამწვარი ტანსაცმლისა და თეთრეულის მძაფრი სუნი ტრიალებდა, დაცარიელებულ სახლებს ქურდები და ვანდალები შესეოდნენ, აგვისტოში ეკლესიებიც კი დაიკეტა (როზენბერგი 1959: 39). 1832 წლის პანდემიამ ედგარ პოს ბალტიმორში მოუსწრო, სადაც უკიდურეს სიდატაკეში ჩავარდნილმა მწერალმა მამიდის, მარი კლემის, სახლში ჰპოვა თავშესაფარი. თავად იგი გადაურჩა ეპიდემიას, მაგრამ მომსწრე და თვით-

მხილველი იყო იმ პანიკისა, რომელმაც მთელი ქალაქი მოიცვა. იმხანად ბალტიმორის მოსახლეობა 80 615-ს შეადგენდა. სულ რაღაც 4 თვეში, აგვისტოდან ნოემბრამდე, ეპიდემიას 853 ადამიანი ემსხვერპლა. პოსთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო მისი უახლოესი მეგობრის, ებენეზერ ბარლინგის დაღუპვა. ფიქრობენ, რომ სწორედ ქოლერის პანდემიამ შთააგონა მწერალი, შეექმნა მოთხრობები „მეფე შავი ჭირი“ და „წითელი სიკვდილის ნიღაბი“.

ბიოგრაფიული ფონი

1836 წლის 16 მაისს ედგარ პო დაქორწინდა თავის მამიდა-შვილზე, ვირჯინია კლემზე, რომელიც იმხანად მხოლოდ 13 წლისა იყო. 1842 წლის იანვარში მწერლის ახალგაზრდა ცოლს ტუბერკულოზის პირველი მძიმე შეტევა მოუვიდა. “პოს სახლში ერთ-ერთი წვეულების დროს, როდესაც ვირჯინია არფის აკომპანიმენტის თანხლებით მღეროდა, უეცრად ხმა ჩაუწყდა და ყელიდან სისხლი წასკდა“. ახალგაზრდა ქალი დიდი ხნით მიეჯაჭვა საწოლს, რაც გახდა მწერლის სულიერი წონასწორობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზი. დეპრესიის განკურნებას იგი სასმელით ცდილობდა. ვირჯინიას ჯანმრთელობა გაუარესდა იმავე წლის ზაფხულში და 1947 წლის 30 იანვარს ლეტალურად დასრულდა. საყვარელი ცოლის დასაფლავების შემდეგ თავად მწერალიც ჩავარდა ლოვინად. ეს იყო მორიგი ფსიქიური შეტევა, რომლის მსგავსიც მას არერთგზის ჰქონია (ქუინი1941:186).

ვირჯინიას ავადმყოფობას წინ უძღოდა არაერთი მძიმე ფაქტი მწერლის ბიოგრაფიიდან, რომლებმაც ღრმა კვალი დაამჩნია მის ფსიქიკას: 1834 წელს პოს მამობილი გარდაიცვალა ისე, რომ მას მემკვიდრეობა არ დაუტოვა; უკიდურესი სიღატაკით გამოწვეულ სასოწარკვეთას მწერალი ალკოჰოლში ახშობდა; 1837 წლის აშშ-ში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი – დაიხურა ჟურნალ-გაზეთები და პომ სამსახური დაკარგა; ლოთობის გამო ის ჟურნალ Graham Magazine-იდან დაითხოვეს. მისი ბოლო პუბლიკაცია ამ ჟურნალში სწორედ „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ იყო. შესაძლოა, ამ ნო-

ველით მწერალი შეეცადა, ეპოვა პასუხი კითხვებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას უკავშირდებოდა და სიჭაბუკიდანვე არ აძლევდა მოსვენებას: რატომ დაჰყვა დაბადებიდანვე მძიმე ხვედრი (იგი ორი წლისა დაობლდა და აღსაზრდელად სრულიად უცხო ადამიანებმა წაიყვანეს), რატომ წარიმართა ტრაგიკულად მისი შემდგომი ცხოვრება (მიუსაფრობა – სიღატაკე – ლოთობა) და რატომ წაართვა ბედისწერამ უდროოდ ყველა ის ადამიანი, რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა. ამ ფონზე იკვეთება სამი ძირითადი საკითხი: ადამიანის უნარი, რომ აღიაროს მწარე სინამდვილე; სასოწარკვეთილების გადალახვის აუცილებლობა; სიკვდილთან ბრძოლის უაზრობა – ეს ყოველივე თავისებურად აისახა „წითელი სიკვდილის ნიღაბში“.

წითელი სიკვდილი – მეტაფორა. წაკითხვის ცდები

სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდები, რომ ამ მოთხრობის თეატრალური მეტაფორები და მხატვრული ეფექტები წაკითხულ იქნას, როგორც გროტესკული ელემენტები. მიხეილ ბახტინის აზრით, ნოველაში შეიძლება ამოვიკითხოთ რაბლესა და ბოკაჩოსათვის დამახასიათებელი კონტრასტი: შავი ჭირი (სიკვდილი, საფლავი)/დღესასწაული (მხიარულება, სიცილი, ღვინო, ეროტიკა). პოს ნოველაში ეს „თანამეზობლობა“ „შიშველი კონტრასტის“ სახეს იღებს და ბოკაჩოსგან და რაბლესგან განსხვავებით, რომელთა თხზულებებში ეს კონტრასტი სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დემონსტრირებისკენაა მიმართული, ისინი გამოყენებულია, როგორც „გაშიშვლებული“ სტატიკური ალეგორიულ-ლიტერატურული კონტრასტები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ტრაგიკულ ატმოსფეროს ქმნის (ბახტინი 2000: 131).

ალექსანდრა ურაკოვა „წითელი სიკვდილის“ მეტაფორას ანთროპოლოგიური კუთხით განიხილავს და ხსნის მას, როგორც „ავადმყოფი სხეულის მდგომარეობის პროექციას“. ვინაიდან თხრობა ნოველაში მესამე პირში მიმდინარეობს და მას არ ჰყავს მთხრობელი – თვითმხილველი, შესაბამისად, ნარატორის სუბიექტური პოზიციის უქონლობა საშუალებას აძლევს მეცნიერს

მხატვრულ სახეთა და მეტაფორათა მიღმა დაინახოს სიმბოლიზაციის გაუცნობიერებელი მექანიზმი – ავადმყოფობის სიმპტომთა განსხეულება ნოველის მხატვრულ სახეთა სისტემაში. უფლისწული პროსპერო ეპიდემიას სააბატოს სქელი კედლების მიღმა ემალება, რომლის რკინის კარიბჭეს საგულდაგულოდ დაგმანავენ. ალექსანდრა ურაკოვა ამ ფაქტს ხსნის ყველა ცოცხალი ოგანიზმის მისწრაფებით, ეპიდემიის დროს იზოლირდეს გარემომცველი სამყაროსგან, დაიხშოს ყველა „შესასვლელი“ და „გასასვლელი“, პირველ ყოვლისა, სასუნთქი სისტემა: ცხვირი და პირი. ამ შემთხვევაში მეტაფორა – მტრით/ავადმყოფობით შემოსაზღვრული სხეული/ციხესიმაგრე ტიპურია დასავლური კულტურული ტრადიციისათვის (ურაკოვა 2010).

1842 წლის მარტში Graham Magazine-ში გამოქვეყნებულ რეცენზიაში, რომელიც ლონგფელოუს კრებულს „ბალადებს და სხვა ლექსებს“ (Review of Ballads and Other Poems) ეძღვნებოდა, მოგვიანებით კი ესეიში „პოეტიკის პრინციპები“, რომელიც 1850 წელს, მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, ედგარ პო აღნიშნავდა, რომ ადამიანის ცნობიერება სამ ძირითად სფეროდ იყოფა. ესენია: ინტელექტი, გემოვნება და მორალი. პოს აზრით, **ცენტრში** გემოვნება დგას და მას მჭიდრო კავშირი აქვს ცნობიერების სხვა სფეროებთან, თუმცა ამ ტრიადის ნაწილთა ფუნქციები საკმაოდ განსხვავებულია. **ინტელექტი** უკავშირდება **ჭეშმარიტებას, გემოვნება – სილამაზეს, მორალი – მოვალეობას. სინდისი** აიძულებს ადამიანს, რომ პასუხისმგებლობით მიუდგეს თავის **მოვალეობებს, გონიერება** მიგვანიშნებს მათ მიზანშეწონილობაზე, ხოლო **გემოვნება** გამოკვეთს ამ მოვალეობათა მომხიბვლელ მხარეს – ჰარმონიულობას, თვითკმარობას, მთლიანობას, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, სილამაზეს, რომელიც სრული კონტრასტია ბიწიერებისა (სიმახინჯისა)(პო 1996: 1436-1437).

რობერტ შულმანის აზრით, „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ არის ალეგორია პოს ზემოთ მოყვანილი სქემისა (შემთხვევითი არაა, რომ ეს ნოველა მწერალმა ლონგფელოუს წიგნზე რეცენზიის გამოქვეყნებიდან 1 თვეში დაბეჭდა). უფლისწული პროსპერო წარმოადგენს მხატვრისა და, ზოგადად, ხელოვანი ადამიანის სტილისა და გემოვნების განსახიერებას და, ერთი შეხედვით, ექს-

ტრავაგანტული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს („Bizarre“ უყვარდა ჰერცოგს“), მაგრამ სინამდვილეში შემადრწუნებელი და ბარბაროსულია მისი ჩანაფიქრი. სასახლეც, რომელსაც თავს აფარებენ წითელ სიკვდილს გარიდებული კარის დიდებულები, პრინცის ექსცენტრული გემოვნების ნაყოფია: „უფლისწულის უცნაური და მეფური გემოვნებისამებრ აეგოთ ეს შენობა“. ის არის აბსოლუტურად იზოლირებული დანარჩენი სამყაროსგან, ანუ, პოს სექემით, ცნობიერების სხვა სფეროებისგან. ამ განმარტოებულ სასახლეში „სულ უაზრობა იყო მწუხარება და ფიქრი“, ანუ ცნებები, რომლებსაც რობერტ შულმანი, მორალთან და ინტელექტთან ერთად, მოიაზრებს გონების (ცნობიერების) სფეროებად. უფლისწული პროსპეროს თვითიზოლაციასა და მის მიერ მოწყობილ „ლხინში ჟამიანობის დროს“, შულმანის აზრით, იგულისხმება ის ირაციონალური სტრატეგია, როდესაც გონება ცდილობს, დაიცვას თავი საკუთარი სიგიჟის, ავადმყოფური მიდრეკილებებისა და თვითგანადგურებისგან, როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ საშიშროება მის შიგნითაა, როცა სინამდვილეში ის გარეგანია. ისიც აღსანიშნავია, რომ თუ მავანი აქ იზოლაციის მორალურ მხარეზე გაამახვილებდა ყურადღებას (პროსპერო სრულებით არ დარდობს თავის ქვეშევრდომებზე და მხოლოდ თავის უახლიეს გარემოცვასთან ერთად გამოიკეთება მიუვალ მონასტერში), პო ხაზს უსვამს გონების ირაციონალურ მხარეს და თავად ირაციონალურობას (შულმანი 1970: 248-249). მკვლევარი გონების ბნელ ლაბირინთად აღიქვამს იმ შვიდ პალატს, რომლებიც მზის შუქით კი არ ნათდება, არამედ ბნელი გოთური ფანჯრებით, რომლებიც სიმბოლურად განასახიერებს უფლისწულის უცნაურ ჩანაფიქრს („გიჟაო ეს კაცი, – იფიქრებდა ზოგიერთი... შვიდივე პალატი მისი მითითებებით გააწყვეს, მისი გემოვნებისამებრ შეარჩიეს ნიღბები, ასე რომ, უცილობელი იყო მათი გროტესკული ხასიათი“). განსაკუთრებით შემზარავია მეშვიდე, შავი პალატი, რომლის სისხლისხმელი სარკმლებიდან იფრქვეოდა მეწამული ფერის შუქი, დასავლეთის კედელთან კი იდგა ებონიტის ვე-ება საათი, რომლის „ბრინჯაოს ფილტვი“ საათში ერთხელ ამოთქვამდა ხოლმე სულის შემძვრელ ხმას, რომელიც წამით აშეშებდა მოზეიმეებს და ძარღვებში სისხლს უყინავდა. რობერტ შულ-

მანის აზრით, პროტაგონისტს ემუქრება ამ შავი საათის სახეში განსახიერებელი მოკვდავობა და განადგურება. მართლაც, თავისი სასახლის ბოლო პალატაში უფლისწული პროსპერო პირისპირ შეეჯახება იმ ერთადერთ შიშს, რომლის აღიარებაზეც ის აქამდე უარს აცხადებდა. „მზვობარი, უმფოთველი ნაბიჯით ის (უცნობი ნიღბოსანი – მ.ე.) უახლოვდებოდა მასპინძელს“ და ვერავინ გაბედა მისი შეჩერება. მაშინდა გააშმაგა საკუთარმა წამიერმა უღონობამ უფლისწული პროსპერო, მრისხანებამ და სირცხვილმა თვალი დაუბნელა“. სტიუარტ ლევინის აზრით, ედგარ პომ ამ ნოველით გადმოსცა პირადად თავისი ძრწოლა საშინელებისადმი და შეეცადა, მკითხველშიც აღედრა ეს გრძნობა (ლევინი 1972: 200).

ნოველის ირონიული ფინალი – სიცარიელე წითელი სიკვდილის ნიღაბქვეშ – მკითხველისთვის ერთგვარ გამაფრთხილებელ წინასწარმეტყველებად ჟღერს: ადამიანი ვერსად დაემალება სიკვდილს, რომელსაც ვერც თვალუწვდენელი გალავანი შეაბრკოლებს და ვერც „დადუღებული“ საკეტები. როგორც კი დაინთქმება ებონიტის საათის „დარტყმის უკანასკნელი ექო“, ყველაზე უფრო „ზვიადი და ძალგულოვანიც კი“ ჩასწვდება სიკვდილის მოუხელთებელსა და შეუცნობელ ბუნებას და წამიერი გარინდებიდან გამორკვეულს თავზარი დაეცემა საუკუთარი უღონობისა და უილაჯობის გამო*.

დამოწმებანი:

ბარტონი 1970: Burton, R. Pollin. *Discoveries in Poe*. Notre Dame University Press: 1970

ბახტინი 2000: Бахтин, М. *Раблезианский хронотоп. Эпос и Роман*. Санкт-Петербург: «Азбука», 2000, стр. 95-138.

ლევინი 1972: Levin, S. *Edgar Poe: Seer and Craftsman*. Deland, Florida: 1972

* ედგარ პოსაც 40 წლის ასაკში მოულოდნელად მოუსწრო სიკვდილმა – 1849 წლის 3 ოქტომბერს იგი ბალტიმორის ერთ-ერთ ქუჩაზე უგონო მდგომარეობაში იპოვეს. ეცვა უცნაური ტანსაცმელი, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. მწერალი სასწრაფოდ გადაიყვანეს ვაშინგტონის კოლეჯის ჰოსპიტალში, სადაც 7 ოქტომბერს გონს მოუსვლელად გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი უცნობია, რადგან საავადმყოფოს არქივიდან გაქრა მისი ავადმყოფობის ისტორიის ყველა ჩანაწერი, მათ შორის გარდაცვალების მოწმობაც.

პო 1996: Poe, E.A. *The Poetic Principle*. Poetry, Tales and Selected Essays. New York: The Library of America, 1996. Pp. 1431-1454.

პო 1982: პო, ე.ა. *წითელი სიკვდილის ნიღაბი*. 17 მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ზაურ კილაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 95-100.

როზენბერგი 1959: Charles E. Rosenberg. *The Cholera Epidemic of 1832 in New York City*. Bulletin of the History of Medicine. Vol. 33, N1 (January-February, 1959). Pp. 37-49.

როთი 1984: Roth, M. *Inside “The Masque of the Red Death”*. Substance. Vol.13, N 2. Issue 43. Pp. 50-53. John Hopkins University Press: 1984.

სარაზინი 2005: Саразин, Ф. *Mapping the Body*. История тела между конструктивизмом, политикой и опытом. Новое литературное обозрение. № 71, 2005.

ურაკოვა 2010: Уракова, А. *Пустота под маской: Антропологический аспект-рассказа Э.А. По «Маска красной смерти»*. Новые российские гуманитарные исследования. <http://www.nrgumis.ru/articles/207/>

კუინი 1941: Quinn, H. *Edgar Allan Poe: A Critical Biography*. New York, London: 1941.

შულმანი 1970: Shulman, R. *Poe and the Powers of Mind*. ELH. Vol. 37, N 2. John Hopkins University Press: 1970.

ციმერმანი 2009: Zimmerman, B. *The Puzzle of the Color Symbolism in the “Masque of the Red Death”*: Solved at Last? The Edgar Allan Poe Review. Vol.10. N 3. Pp.60-74. Penn State University Press: 2009.

Julieta Gabodze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Pandemics – Source of the Writers’ Creative Inspiration (Based on Art of Akaki Tsereteli, Al. Orbeliani, and Ilia Chavchavadze)

Summary

In the 19th century, there were widespread pandemics of plague and cholera and, unfortunately, Georgia was unable to avoid it. The newspapers published information about epidemics in different countries and warned the population about the proposed danger.